№1746 2015 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის მე-100 კმ-ზე დაზიანებული მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია 2015 წლის 13 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**